წელიწადი მე-2 ტელეფონი №76. ოთხშაბათი, 23 ნოემბერი

# სამშობლო

ფასი 5 კ.

**გაზეთის ფასი:** წლიურად 9 მან, ნახევარი წლით 5 მ., თვიურად 4 აბ ცალკე ნომერი ერთი შაური. **დამატებით** 7 კ წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 4 მ, დანარჩენი კიდევ ნაწილნაწილათ

**განცხადების ფასი:** ჩვეულებრივი სტრიქონი პეტიტი ... დან 15 კ., ... სხვა ადგილებიდან კავკასის გარეშე მიღებულ განცხ დებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 30 კაპ., უკან 20 კაპ. გლოვიარი განცხადების დაბეჭდვა თითოჯერ ნაშუადღევის 2 საათ. ლის 4 მ. 2 საათის შემდეგ 5 მან.

რედაქცია და კანტორა იმყოფება თბილისს ქ, კნ. მიქელაძის სახლებში

№ 49 — ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი. — № 49

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხუთშაბათს 24 ნოემბერს საფირჩხიის სასაფლაოს ეკლესიაში გადახდილ იქნება ნახევარი წლის თავზე წირვა და პანაშვიდი

**ელისაბედ (ლიზა) მიხეილის ასულის გ რ ი გ ო ლ ი ა ს**

სულის მოსახსენებლად, რასაც აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ მეუღლე ნიკოლოზ ალექსის ძე გრიგოლია და ძმა ვასილ მიხეილის ძე კლდიაშვილი წირვა დაიწყება $9^{1}/_{2}$, პანაშვიდი 11 საათზე.

**ვოლგა-კამის კომერციული ბანკი**

გადავიდა ექიმი გოკიელოვის სახლიდან მიხეილის ქუჩაზე მოშიაშვილის სახლში, ბაღის პირდაპირ.

ელექტრო „**ამპირ**“ თეატრი

ორშაბათიდან 21 ნოემბრიდან საუკეთესო პროგრამა

**ფრინველთა სამეფოს წარმომადგენლები და მათი ცხოვრება**

(**ბრტყელფეხიანები**)

სანახაობა, ფერადებით.

ოჯახის ბედნიერება — კინო პიესა 4 ნაწ. ლ. ტოლსტოის მოთხრობის აზრის მიდევნებით ორლოვისა და გედიკეს მონაწ.

**ტ ყ უ ი ლ ი შ ი შ ი** სახუმარო.

ელექტრო „**რადიუმ**“ თეატრი

ორშაბათიდან, 21 ნოემბრიდან ახალი პროგრამა

**სერბეთის მეფის შვილი ვერდენში**

სანახაობა; ნამდვილიდან

**გაზაფხულზე ბავშვო, ვარდს ნუ ეტანები** — კინო-ილიუსტრაცია ცნობილ რომანსისა კარა მანოვისა და რიმსკის მონაწილეობით.

ექიმმა **ალექსანდრე მაქსიმეს ძე ასათიანმა** განაახლა ავადმყოფების მიღება (ქალურ, ვენერიულ და შინაგან) ავათმყოფებისა ყოველდღე დილის 11—2 საათამდე, საღამოს 6—8 საათამდე პუშკინისა და ბალახვანის ქ. კუთხე, სახლი № 3 ტელეფონი № 101.

**ექიმი** **ი. ჩარექოვი** ქალაქის სავათმყოფოს ორდინატორი. იღებს კანის, ვენერიულ და სიფილისიან ავადმყოფებს. (სისხლში შესხმა „606“ და „914“) დილით $12^{1}/_{2}$—2 საათ. საღამოს 6—8 ს. მისამართი: ლევაშოვის ქუჩა, ალიხანოვის სახ. ტელეფონი № 135. თ.

**გამოცდილი სტუდენტი ამზადებს** მოწაფეებს ყველა კლასებისათვის. ჰყავს ჯგუფი საოფიცრო მოწაფეებისა. I და II ხარისხ. იაფიან პირობით. მისამართი: თფილისის ქ. № 35 მიქელაძის სახლებში, მეორე სართულზე, გაზ. „სამშობლო“-ს რედაქციის ზევით. მიღება 9—12 ს. და 3—6 ს. საღ. მასწავლებელი ა. ზ. თელ.

**ვამზადებ** მოწაფეებს ყველა კლასებისათვის. პირობები ხელსაყრელია. პირობების გაგება შეიძლება ყოველდღე—ივანოვის ქ. სახ. ვ. ჭილაძის. შესავალი გაზ „მეგობრის“ რედაქციის ბინიდან.

**მასაჟისა და სახის სამკურნალო კაბინეტი**

**მარიამ ტ. გალანჩივაძისა.**

ვკურნავ მასაჟით, საჰქიმო ვარჯიშობით. ვსპობ სახეზე: მუწუკებს, ნაოჭებს. ჭორფლს, მეტ სიწითლეს, ნაყვავილებს და ყოველგვარ სახის ავადმყოფობას, ამასთან უებრო ყვავილსაც და აგრეთვე **ნამდვილათ ვარჩენ** თავზე კანის ქერცლს, ანუ ქეტერს ჩემგანვე ახალ გამოგონილ წამლის საშუალებით. ქეტერის მოსპობის შემდეგ თმა სრულიად აღარ ცვინდება და იღებს სასიამოვნო ფერსა და სირბილეს.

ავადმყოფები მიიღება დილის 9—2-დე და საღამოს 4—6 საათ. რჩევა და დარიგება ათი შაური მისამართი: დადიანის შესახვევი, გ კოსტავას სახლები. № 37.

304—1—თვით.

**ექიმი** გაბრიელ იოსების ძე **გოკიელი** დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება. ელექტრონისა და სინათლის კაბინეტი. შინაგანი ნევრებისა და ვენერიულ ავათმყოფთათვის. ავადმყოფნი მიიღებიან დილის 9—12 საათ. და საღ. 6—8 საათ. ალექსანდრეს ქ. საკუთარი ს. თ.

**ბებია** **მ. მ. კოხრეიძე** უცრის ყვავილს, უკეთებს ნემსებს, ეხმარება მშობიარეთ და აძლევს ავათმყოფთ რჩევა-დარიგებას ყოველ დროს. ალექსანდროვის ქუჩა, სვ. თევდორაძის სახლი, ფილიპოვის მაღაზიის პირდაპირ.

# მსოფლიო ომი.

## დეპეშები

(პეტროგრადის დეპეშათა სააგენტოსაგან)

**უმაღლეს მთავარსარდ. შტაბისაგან.**

**აღმოსავლეთის ასპარეზი.**

**პეტროგრადი.** 18 ნოემბერი. მტერი, რომელიც მდ. სტოხოდის მიდამოებში ველიცკთან ცდილობდა თავდასხმაზე გადასვლას, შევაჩერეთ. ტორნოპოვ-ზოლჩევის რკინის გზის ჩრდილოეთით მტერმა ძლიერი საარტილერიო ბრძოლის შემდეგ მოახერხა და კაზაროვცის მიდამოებში თავდასხმაზე გადმოვიდა. მტრის ჯარს ალყა შემოვარტყით და ქვეითა ჯარისა და არტილერიის მოქმედებით უკანვე თავის სანგრებში დავაბრუნეთ. ტყიან კარპატებში გუშინ ძლებული ვაკაკისა და კირლიბაბის მიდამოებში ბრძოლები გრძელდება. ჩვენმა ჯარმა რამდენჯერმე გაიმეორა იერიში და მტერი იძულებული გახდა მაღლობი ეურა-რუკადა დაეტოვებია. კირლიბაბის სამხრეთით, რუმინიის საზღვართან ბრძოლებია. ჩვენს თავდასხმაზე მტერი ძლიერი ცეცხლის გაჩენით იძლევა პასუხს. აგრეთვე მოდის კონტრ-იერიშებზედაც მიუხედავათ ამისა, ჩვენ მაინც ავიღეთ მთელი რიგი მაღლობებისა.

**კავკასიის ასპარეზი.**

**პეტროგრადი.** 18 ნოემბერი 12—14 ნოემბრამდი მდინარე კარო-სუს მარჯვენა ნაპირზე სულთანბადის რაზმი მტერს რამდენჯერმე თავს დაესხა. 14 ნოემბერს საღამოს მტერი გავფანტეთ და უწესრიგოთ უკან დაიხია. მტერმა კარასუსთან ბრძოლაში დიდად დაზარალდა. ჩვენ ხელთ ვიგდეთ ... სამი ზარბაზანი, ტყვიის მფრქვეველი და დიდძალი სამხედრო დოვლა.

**რუმინიის ასპარეზი.**

**პეტროგრადი.** 18 ნოემბერი. ტრანსილვანიაში ოიტუზას ველზე რუმინელები მტრის შევიწროებას განაგრძობენ. ბუზეოს ველზე სოფელ კრასნის აღმოსავლეთითა და სამხრეთით რუმინელებმა მთელი რიგი მაღლობებისა აიღეს. მტრის ცხენოსანმა ჯარმა დუნაის ასპარეზზე ბუქარესტის გზაზე სოფელი კამინარი და კოსტინარი დაიპყრო. დობრუჯაში მოწინავე რაზმების შეტაკებაა.

**აღმოსავლეთის ასპარეზი.**

**პეტროგრადი** 20 ნოემბერი. ბუნივის მიდამოებში მოწინააღმდეგე შხამიან გაზებით გატენილ ყუმბარებს ხმარობდა და ჩვენი ჯარის ზურგს ცეცხლის წამკიდებელ ყუმბარებს უშენდა. ტყიან კარპატებში, სოფ. ხრენოვიდან სამხრეთ-დასავლეთით 10 ვერსტის მანძილზე მაღლობების შესანარჩუნებლათ ბრძოლები გრძელდება; ბრძოლა სწარმოებს აგრეთვე კირლი-ბაბას აღმოსავლეთით.

**კავკასიის ასპარეზი.**

მდგომარეობა უცვლელია.

**რუმინიის ასპარეზი.**

ტრანსილვანია მდ. როტუმისა, სულმასა, ჩიბონიევისა და იუზის ველებზე ბრძოლები გრძელდება. მოწინააღმდეგე დიდ წინააღმდეგობას გვიწევს და კონტრ-იერიშებიც მოაქვს ჩვენი ჯარის წინააღმდეგ, რომელშიაც რამდენიმე მაღლობი დაიპყრო. ბრძოლამ მეტის მეტი მკაცრი ხასიათი მიიღო და ტყვეთა რიცხვი მხოლოდ ათეულებით ითვლება. მდ. ბუზეოს ველზე რუმინელებმა რამდენიმედ წინ წაიწიეს.

დუნაის ბრძოლის პირი. პიტეშტი ბუქარესტის მიმართულებით მოწინააღმდეგემ ძლიერი იერიშის წყალობით მდ. არგისის (არჯიში) ჩრდილოეთით მდგომი რუმინელთა ჯარი აიძულა რამდენიმედ უკან დაეხია. მდინარის სამხრეთით ყველა იერიშები მოგერიებულ იქნენ. ბუქარესტის დასავლეთით მოწინააღმდეგემ შესძლო რუმინელებისათვის მდ. არგოისაკენ დაეხევინებინა. ბუქარესტის სამხრეთით მოწინააღმდეგის ყველა იერიშები მოვიგერიეთ და გერმანელ ბულგარელებს უკან დავახევინეთ. დობრუჯაში ჩვენმა ჯარმა ჩერნოვოდის ხიდის დასავლეთის ნაწილი დაიპყრო; სოფ. კალაკისი, სატისკიოის მიდამოებში მოწინააღმდეგე ვაიძულეთ რამდენიმე მაღლობიდან სამხრეთისაკენ უკან დაეხია.

## ჟურნალ-გაზეთებიდან.

„რუს. სლოვო“-ში ვ. მიხაილოვსკი სწერს: ევროპის ყველა ასპარეზებზე ამ ხანად სრული სიწყნარე სუფევს და მთელი ქვეყნის ყურადღება დუნაის ნაპირებისაკენაა მიქცეული. მონასტირის აღებით გენ. სარაილის ჯარის მარცხენა ფრთას მაინცა და მაინც ბევრით ვერ გაუწევია წინ. მონასტირთან დამარცხებულ გენ. ვიკერსს მაკენზენმა ჯარი მიაშველა და სერბიელებმა ერთი კვირის განმავლობაში მდ. წრნიდან ჩრდილოეთისაკენ მხოლოდ 7 ვერსტით წაიწიეს წინ. გერმანელ-ბულგარელები ქ. მონასტირიდან ჩრდილოეთით სულ 6 ვერსის მანძილზე იმყოფებიან. ამნაირად, გენ. სარაილის ჯარის მარცხენა ფრთა ჯერჯერობით მოწინააღმდეგის ჯარს გვერდიდან ვერ დაემუქრება“.

რუმინიის ასპარეზის შესახებ იგივე მიმომხილველი სწერს: „გერმანელებსა და ბულგარლებს ეხლა (ე. ი. ამ ერთი კვირის წინად) დობრუჯათი 34 ათასი კვადრატულ ვერსტის სიფართე მიწა წყალი უკავიათ, (მთელი სამეფოს ერთი მეოთხედი), ორმელზედაც ომამდე 2 მილიონი მცხოვრები იყო. საგულისხმოა ის, რომ გერმანელები რუმინეთში სამხედრო დიდების გარდა მათთვის ფრიად საჭირო სურსათსაც ეძებენ“.

— შეერთებულ შტატების დესპანი გერმანეთში, რომელიც ამ ჟამად ამერიკაში იმყოფება, გერმანეთში დაბრუნებისთანავე გერმანეთის მთავრობას გადასცემს ვილსონის გადაწყვეტილებას, რომ ამერიკა გერმანეთთან დიპლომატიურ ურთი ერთობას შესწყვეტს, თუ იგი თავის ყველა დაპირებას არ შეასრულებს წყალ ქვეშა ნავების თარეშის აკრძალვის შესახებ.

— პეტროგრადის სამხედრო ავტორიტეტების აზრით რუმინიაში გენ. მაკენზენის პირველხანებში მედგარი წინსვლა შეფერხდა და ეხლა უფრო ნელა სწარმოებს. შემდეგში გერმანელ-ბულგარელთა ბუქარესტისაკენ წინსვლა უფრო შეფერხდება, რადგანაც ბუქარესტის წინ რუმინელთა ძლიერი რაზმები მოქმედებენ. თვით ბუქარესტმა ეხლანდელ მდგომარეობაში გადამწყვეტი როლი უნდა ითამაშოს ბუქარესტი, როგორც ციხე თავდაცვის ხელოვნების უკანასკნელი სიტყვაა და მისი დანიშნულება კარპატებისა და დუნაის შუა მდებარე მიწაწყლისა და მოლდავიის დაფარვაა.

— „ბირჟ ვედომოსტში“ კ. შუმსკი ბუქარესტის ციხის შესახებ სწერს:

„ეს ციხე ბელგიის გამოჩენილ ინჟინერის ბრიალმონის პროექტის მიხედვით არის აშენებული. ბრიალმონს ეკუთვნის ლიეჟისა, ნამიურისა და ანტვერპენის და ევროპის სხვა სახელმწიფოების ციხეთა პროექტები. ბრიალმონი იმის მომხრე იყო, რომ ციხის აშენებისას მთავარი როლი ფოლადისა და ბეტონისათვის მიეკუთვნებიათ; ამ მხრივ ბელგიის ზემოხსენებული ციხეები ნამდვილ ბეტონიან ჯავშნოსნებს წარმოადგენდნენ. ეს გარემოება თოფის სროლის მნიშვნელობას უკარგავს და ადვილი დასამიზნავია მოწინააღმდეგის ზარბაზნებისთვის. ამ ნაკლს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ზემოხსენებულ ციხეების დაცემის დროს. თუმცა ესევე ნაკლი აქვს ბუქარესტს მაგრამ საერთო, სტრატეგიული პირობები ისეთია, რომ ბუქარესტის ბედი არც ისე საშიშოა.

„რუს. სლოვოს“ სარწმუნო წყაროებიდან აუწყებენ, რომ გერმანიაში ხმა გავრცელებულა რუსეთი გაზაფხულისთვის ახალ 10 მილიონიან ჯარს აგროვებსო. თვით გერმანიაში ამ ჟამად დიდი ცდაში არიან, რომ გაზაფხულისთვის უკანასკნელი 2 მილიონ ნახევარიანი ჯარი მაინც შეადგინონ. ამ საქმეს სათავეში თვით ჰინდერბურგი ჩაუდგა. არავის შეღავათს არ აძლევენ და ყველა ჯარში გაყავთ გერმანიის ერთმა დიდმა ბანკმა კაიზერ ვილჰელმს სთხოვა დირექტორი დაგვიტოვეთ, რადგანაც უიმისოდ ბანკი ვერ იარსებებსო. იმპერატორს შეუთვლია, ეს მე არ შემიძლიაო. ყველგან, როცა კი ეს შესაძლებელია თუ არა მამაკაცების მაგივრად დედაკაცებს აყენებენ სამუშაოდ.

— გენ. ჰინდენბურგს რუმინიის შესახებ უთქვამს. „ტრანსილვანიაში ჩვენი საქმე კარგად მიდის, რუმინელები უკან იხევენ დათანდა თან სუსტდებიან. მე მიხარია რუმინეთის ომში ჩარევა, რადგანაც სწორედ ამ ასპარეზზე თავს დავაღწევთ საპოზიციო ბრძოლას და აქედან დავიწყებთ ფართე სამანევრო ოპერაციებს“.

—კიევში მოსული ლტოლვილ რუმინელები სჩივიან: შეუძლებელი იყო ჩვენი სამშობლოში დარჩენა, რადგანაც მოწინააღ დეგის საფრენები დილიდან საღამომდე თავს დაგვტრიალებდნენ, და ქუჩაში მიმავალთ ტყვიის მფრქვეველებსაც გვიშენდნენო.

— შვედურ გაზეთების ცნობით გერმანიის ფლოტი საგაზაფხულო მოქმედებისათვის ემზადება

## სამხედრო მიმოხილვა

დღე და დღე რუმინიის მდგომარეობა საერთოდ უფრო მძიმდება.

რუმინიის ბრძოლების ასე ვსთქვათ, მოსამზადებელმა ხანამ უკვე განვლო და დღეს უკვე სამეფოს მთავარი ნაწილის ბედი სწყდება

უკანასკნელი დეპეშების მიხედვით სამხრეთის მხრიდან ზიმნიცა-ბუქარესტის მიმართულებით წასული ბულგარლები უკვე რუმინიის სატახტო ქალაქის კარისპჭეს მიადგნენ და უნდა ვიფიქროთ, რომ თვით ქალაქი ზარბაზნების მოქმედების სფეროში იმყოფება.

დასავლეთის მხრიდან გერმანელებმა განვლეს მთელი დასავლეთ ვალახეთი და გადავიდენ აღმოსავლეთ ვალახეთში, მდ. არგისი გადალახეს და ბუქარესტს 20—30 ვერსტით დაუახლოვდენ.

ჩრდილოეთის მხრითაც შორს არ არიან ავსტრიელები და მხოლოდ რამდენიმე დღეა, რაც რუმინელები წინააღმდეგობას უწევენ და ჯერ-ჯერობით აკავებენ მოპირდაპირეს.

მაგრამ რაკი, ორივე მხრიდან ზედ ციხეზე არიან მიმდგარი ცენტრალ კოალიციის ჯარები კრონშტადტის მიმართულებით წამოსულ ავსტრიელთა შეჩერებას მაინც და მაინც არა აქვს დიდი მნიშვნელობა.

ასეა თუ ისე ორიოდე დღეში ცენტრალ კოალიციის მძიმე საალყო ზარბაზნები ბუქარესტის მეციხოვნე არტილერიას უნდა შეებას.

ბუქარესტის ციხეს უდიდესი მნიშვნელობა ეძლევა.

მაგრამ თვით ციხის ღირსების განხილვა რუმინელებისთვის ბევრ სანუგეშოს არას იძლევა.

თუმცა დღეს ბუქარესტი პირველ-ხარისხოვან ციხედ ითვლება, მაგრამ იგი იმდენადაა ძლიერი, რამდენადაც სუსტი.

საქმე იმაშია, რომ ამ ციხის ღირსებას როგორც საერთოდ ომის დაწ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ომის დღიური.

აღმოსავლეთის ასპარეზი კირლიბაბას მიდამოებში რუსებს კვლავ იერიში მიაქვთ.

კავკასიის ასპარეზი. მდგომარეობა უცვლელია.

რუმინიის ასპარეზი. ვალახიის ჩრდილოეთ ნაწილში ბრძოლები გრძელდება გუზოს ველზე რუმინელები ავსტრიელებს მედგარ წინააღმდეგობას უწევენ დასავლეთის მხრიდან გერმანელები ქ. ბუქარესტს 20—25 ვერსით დაუახლოვდნენ და ამხანად მდ. არგისზე იმყოფებიან ბუქარესტის სამხრეთით რუმინელებმა ბულგარელთა იერიშები მოიგერიეს. დობრუჯაში რუსები წინ მიიწევენ; ჩერნოვოდის ხიდის დასავლეთი ნაწილი ამ ჟამად მათ ხელშია.

ყებამდე არსებულ ციხეებს შეადგენ ბეტონიანი ძლიერი ფორტები, მაგრამ ლიეჟი, ნამიური, ანტვერპენი, დუომონი, კოვნო, გროდნო, ივანგოროდი და სხვა. გოლიათი ციხეები მოწმენი არიან იმისა, რომ თანამედროვე მძიმე არტილერიას ვერავითარი ბეტონი და ფოლადი ვერ უძლებს და ისეთი ძლიერი ფორტი, როგორიც იყო დუომონი, 42 სანტიმეტრიან მძიმე ზარბაზნის 4 ტყვიის ანაწერა ხდება.

ბუქარესტის გარშემო წარმოებულ ბრძოლებთან პირდაპირ დაკავშირებულია დობრუჯაში რუმინელების წინსვლა.

აშკარა გახდა რომ მთავარი ბრძოლა თვით ბუქარესტთან უნდა გაჩაღებულიყო და, რაკი ციხეს სიმაგრეებზე მთელი იმედების დამყარება არ შეიძლებოდა, ბუქარესტის მიდამოებში ძლიერი ჯარის თავმოყრა იყო საჭირო.

გერმანელებმა თითქოს ალღო აუღეს თავის მოპირდაპირეს და დობრუჯაში წინ და წინვე გაართულეს მდგომარეობა.

ჯერ მძლავრად შეუტიეს და ბუქარესტს ამ მხრიდან მოუვლინეს საფრთხე.

შემდეგ, როდესაც რუსებმა და რუმინელებმა აქ დიდ ძალებს მოუყარეს თავი, ნელ-ნელა უკან დახევა იწყეს. მოკავშირეთა ჯარი ახალ ოპერაციაში ჩაბეს და ადგილობრივ დააბანდეს.

უკანასკნელი გარემოება კი უარყოფით გავლენას მოახდენს რუმინიის მდგომარეობაზე

რუმინიის გადასარჩენად უმჯობესი იქნებოდა, რომ დობრუჯაში მომქმედი ჯარი აღმოსავლეთ ვალახეთში გადაეყვანათ და ბუქარესტის გარნიზონი გაეძლიერებინათ, ხოლო დობრუჯაში კი გამაგრებულიყვნენ, რათა ტყუილ უბრალოდ ძალები არ დაექსაქსათ.

იმისთანა გარემოების დროს, როგორშიაც ამ ჟამად რუმინია იმყოფება უდიდესი მნიშვნელობა ეძლევა საჭირო ადგილას დროით მოხდენილ ჯარის კონცენტრაციას.

შვერდი.

## საზოგადო ინტერესების შეხება.

მეტია, რასაკვირველია, იმაზედ ლაპარაკი, რომ რომელიმე ერის წარმატებისათვის საზოგადოებრივ საქმეების წინ წასაყვანად და მათი საიმედო დონეზე დასაყენებლად ცნობილ და დიდ მოღვაწეების გარდა დიდი მნიშვნელობა აქვს წვრილი და პირველის შეხედვით უმნიშვნელო პიროვნებათა ღვაწლსაც.

პირიქით, თუ დავუკვირდებით, მთლიანად საზოგადოებრივ მასსას უფრო მეტი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე სათითაოდ რომელიმე დიდი საზოგადო მოღვაწის მუშაობას.

დიდი საზოგადო მოღვაწე, ასე ვსთქვათ, ბელადი ნირს აძლევს ერის საზოგადოებრივ საქმიანობას, განსაზღვრულ მიმართულებას აძლევს, აღნიშნავს მთავარ მომენტებს.

ხოლო წვრილი საზოგადოებრივ ინტერესებით გატაცებულ პიროვნებით უნდა გააფართოვონ „დიდთა“ მიერ დაწყებული საზოგადო საქმე, და თუ ეს ვერ მოახერხა, სიცოცხლე მაინც არ მოუსპოს მას და არა ჩაკლას იგი.

ამაშია საზოგადო ინტერესებით აღჭურვილ და ნამდვილ მოქალაქეთა წმინდა მოვალეობა

თუ ჩვენს ეროვნულ საზოგადოებრივ დაწესებულებათა მოქმედების ანგარიშებს თვალს გადავავლებთ, დავრწმუნდებით, რომ ამ დაწესებულებათა ცხოვრებაში ხშირია ისეთი შემთხვევები, როდესაც ამავე დაწესებულების გამგეთაგანს, ან შიგ მომუშავეთაგანს თავის მოქმედებით არამც თუ სარგებლობა, პირიქით ვნებაც კი მოუტანია მისთვის.

ეს მოვლენა იმდენად მნიშვნელოვანია და რიცხვითაც არც ისე მცირე, რომ საჭიროა, რაც შეიძლება მეტი ყურადღება მიაქციონ ამას საზოგადოების მესვეურებმა და უფრო კი მათ, ვისაც პირდაპირ ეხება ეს.

დროა შევიგნოთ, რომ საზოგადოების გაქურდვა, მექრთამეობა, „შავი სპეკულიაცია“, და საზოგადოებრივ საქმისადმი გულ ცივობა უპატიებელი ცოდვაა და თვითო ასეთი შემთხვევა სამშობლო ერის სხეულს მეტ წყლულად აჩნევია.

თავდაპირველად უნდა შევიგნოთ ჩვენ, საზოგადოებრივ საქმიანობის ბორბლებმა, რომ, იმ დროს როდესაც დიდი საზოგადო მოღვაწეები ეროვნულ საზოგადოებრივ საქმეს მთავარ მამოძრავებელ ძალად ევლინებიან და საზოგადო საქმიანობის მატარებლის ორთქლ-მავლის როლს ასრულებენ, ჩვენ მატარებლის ბორბლებმა არ უნდა ვუღალატოთ, თორემ თუ შუა გზაში ან სულ გავჩერდით ან და ვიმუხთლეთ და პირი გავიფუჭეთ,—მთელი საზოგადოებრივი მატარებელი, არამც თუ შეჩერდება, სრულიად დაიმსხვრევა კიდეც.

ამას უნდა ვუხრთხოლეთ ჩვენ. სამშობლოსადმი სიყვარულით, ამ ღვთიურ ცეცხლით, გულ-აგზნებული და ნამდვილი მოქალაქენი, თუ გვსურს, რომ ამ სახელის მატარებელნი დავრჩეთ ბოლომდის.

ყური დავუგდოთ ჩვენ გულის თქმას და, თუ შევატყობთ ჩვენ თავს, რომ ვერ მოვერკულდებით და ვერ მოვიშლით მუხთლობას, გავშორდეთ საზოგადოებრივ საქმიანობის სარბიელს და სხვებს მაინც ნუ შევუშლით ხელს წმინდა საქმიანობაში.

რაც დროით მოხდება ეს, ისა სჯობია.

გ. კობახიძე.

## სახელმწიფო სათათბირო.

### 19 ნოემბრის სხდომა

სხდომა იხსნება ნაშუადღევის ორ საათზე. თავჯდომარეობს როძიანკო. მასთანვე სხედან გრაფ ბობრინსკი და ნეკრასოვი. მინისტრთა ლოჟაში—პრემიერ მინისტრი, შინაგან საქმეთა მინისტრი, და სახელმწიფო საბჭოს დანარჩენი წევრები იკითხება ახლად შემოსულ საქმეთა სია.

თავჯდომარე აცხადებს, რომ მინისტრთა საბჭოს თავჯდომარეს მე-40 მუხლის წესით სურს შემოიტანოს განცხადება

სტ. სეკრეტ ტრეპოვი. ადის ტრიბუნაზე მემარცხენეთა შორის ისმის ხმაურობა..

### დეპუტატთთა გამორიცხვა.

მარცხნიდან გაიძახიან „ძირს... ძირს“... და შეუწყვეტლივ ხმაურობენ.

თავჯდომარე სთხოვს მათ დაწყნარდენ, მაგრამ ხმაურობა გრძელდება...

თავჯდომარე მიმართავს მათ. . სახელმწიფო სათათბ. წევრებო. ჩხეიძე, სკობელევო და კერენსკი! მე იძულებული ვიქნები თქვენ გამოგრიცხოთ „გთხოვთ, გთხოვთ“ ისმის ხმები.

თავჯდომარე განაგრძობს... სახელმწიფო საბჭოს წევრო ჩხეიძე, წინადადება შევიტანე როგორც თქვენ ისე კერენსკისა და სკობელევის თუთხმეტი სხდომიდან. გაძევების შესახებ. ხმაურობა გრძელდება..

ჩხეიძე გამოდის განმარტებით, მაგრამ თავჯდომარე მას სიტყვასართმევს. ტაშის ცემაა...

სიტყვა ეძლევა კერენსკის. მაგრამ გამოჩნდება თუ არა ტრიბუნაზე—შეიქმნება ყვირილი „ძირს, ძირს... გააგდეთ აქედან...

კერენსკი ამბობს თუ გვაძევებენ—ქვეყანამაც უნდა იცოდეს, რომ სათათბიროშიაც არ არის ხსნა...

გამოდის სკობელევი, რომელსაც მალე თავჯდომარე სიტყვას ართმევს. ლაპარაკობს ხაუსტოვი. მასაც თავჯდომარე წესიერებისკენ იწვევს..

სათათბირო ღებულობს წინადადებას—გამორიცხონ ჩხეიძე, კერენსკი და სკობელევი რვა სხდომიდან, რადგანაც ისინი ხელს უშლიდენ პრემიერ მინისტრის ლაპარაკს და მთავრობის განკარგულებების წინააღმდეგ ქცევისათვის.

შემდეგ პრემიერ მინისტრი ისევ აპირებს ლაპარაკს, მაგრამ ისევ ატყდება დიდი ხმაურობა...

თავმჯდომარე ეკითხება ჩხენკელს, ძიუბინსკის და კერენსკს სურსთ თუ არა მათ დაემორჩილონ თავმჯდომარის სიტყვებს...

ჩხენკელი უპასუხებს — არა!

მათ რიცხავენ რვა სხდომიდან

სიტყვას ისევ პრემიერი იწყებს, მაგრამ მისი გამოსვლისთანავე დგება დეპ. სუხანოვი და მიმართავს სათათბიროს, მას აჩერებს თავმჯდომარე, შემდეგ ართმევს სიტყვას და ბოლოს მასაც რიცხავენ 8 სხდომიდან... სუხანოვი განმარტებით გამოდის მაგრამ სიტყვას ართმევენ და ტრიბუნიდან შეუფერებელ სიტყვების თქმისათვის რიცხავენ 10 სხდომიდან. მაგრამ სუხანოვი ზის თავის ადგილას და ფეხს არ სძრავს. წინააღმდეგ თავმჯდომარის წინადადებისა... თავმჯდომარე მიმართავს სათათბიროს: ბატონებო, მე არ შემიძლია მოვითმინო, რომ სათათბიროს გადაწყვეტილება არ იქნეს შესრულებული. ამისთვის მე იძულებული ვიქნები მივმართო კანონისაგან ნება დართულ წესებს. (ხმები მართალია...) მოვითხოვ რომ შემოვიდეს პოლიცია.

სხდომა შესწყდება რამდენიმე წუთს, და სუხანოვი თავის ნებით სტოვებს დარბაზს. დასვენების შემდეგ ლაპარაკობს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე.

# ახალი ამბავი.

გუშინ ის ექვსძე გაემგზავრა დ. ახალსენაკში ნიკოლოზ ბარათაშვილის სადამოზე მონაწილეობის მისაღებად. ის გაიწვია წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობამ, ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეზიის შესახებ ლექციის წასაკითხავად.

✦ ქუთაისის გუბერნიის საერობო აგრონომმა ქ. მოსკოვიდან მიიღო იაპონიის კონსულის ტომო-ხირატასაგან ცნობა, რომ იმ პირთ, რომელთაც ჰსურთ იაპონიიდან აბრეშუმის თესლის გამოწერა უნდა მიმართონ, იაპონიის საბრეშუმო საქმეთა კავშირის თავმჯდომარე ბ. ნ. ვიკონტე-კიოურეს, შემდეგი მისამართით: ვიკონტუ კიოურე დარ-ნიპონ, სან-ში-კვარ, ტოკიო, იაპონია. ფასების შესახებ წინასწარ ცნობების მისაღებად უნდა მიმართონ იაპონიის კონსულს შემდეგი მისამართით. მოსკოვი, იაპონიის საკონსულო.

✦ ორშაბათს, ქალაქის თეატრში, ცნობილმა მკვლევარმა ქართული ლიტერატურისამ იპ. პეტრეს ძე ვართაგავამ წაიკითხა ლექცია შემდეგ თემაზე: „შიო მღვიმელი, და ბავშთა სამყარო“ პატივცემულმა ლექტორმა მშვენიერი ენით გააცნო ხალხს შიო მღვიმელის—როგორც ბავშთა სულის მესაიდუმლე ერთად ერთ პოეტის პოეზიის მნიშვნელობა ქართველი ხალხისათვის. მან სთქვა, შიო მღვიმელი იცოცხლებს მუდამ ქართველ ერთან ერთადო. შესაძლებელია ჩვენი ზოგიერთი მგოსანი დავიწყებას მიეცეს, მაგრამ შიო მღვიმელი კი მარად სახსოვარი და უკვდავი იქნება ქართველი ხალხისთვისო. ლექტორს ეტყობოდა დიდი დაკვირვება და ღრმად შესწავლა შიო მღვიმელის პოეზიისა საწყენია რომ ასეთ სასარგებლო ლექციას შედარებით ხალხი ცოტა დაესწრო ეს ლექცია იმდენად საყურადღებოა და საჭიროა მისი ფართო მკითხველისათვის გაცნობა, რომ ჩვენ საჭიროთ ვსცანით მისი გაზეთში დასტამბვა, რომელსაც შეუდგებით პირველი დეკემბრიდან.

✦ გუშინ საღამოს მატარებლით ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლი ქ. პეტროგრადს გაემგზავრა [ხვა-დასხვა საზოგადო საქმეების გამო.

✦ გუშინ, 20 ნოემბერს ქუთაისის სათავადაზნაურო ბანკის დარბაზში მოხდა ამავე ბანკის დამფასებელთა არჩევნები. დიდი ხმის უმეტესობით დატოვებულ იქმნენ თავიანთ მოვალეობაზე ისევ ძველი დამფასებლები, ბონდო მიქელაძე და ნიკო ლორთქიფანიძე.

✦ გუშინ ქალაქის თეატრში ს. რობაქიძემ და გლ. ემუხვარმა. წაიკითხეს ლექცია. პირველმა აჭარის და ლაზების შესახებ, ხოლო უკანასკნელმა ფულის საკითხის შესახებ. ორივე ლექცია ფრიად შინაარსიანი გამოდგა, ხალხი შედარებით ცოტა დაესწრო.

✦ როგორც მოხსენებული გვქონდა ქუთაისშიაც თან-დათან ვრცელდება. ქუთაისის სამხედრო საექიმო სამმართველოს ცნობით ამ სენით 15 ნოემბერს კვლავ სამი პირი გამხდარა ავად, ამათგან ერთი უკვე გარდაცვლილა. ქალაქის სანიტარო ექიმის სიტყვით ამ სენის გავრცელებას უფრო ხელს უწყობენ თვით მცხოვრებლები ვინაიდან ისინი მალავენ ავათმყოფთ სახლში. ექიმის სიტყვით ვი-

## თაფლის იამება

(თანამედროვე სურათები).

დასასრული, იხ. „სამშობლო“ №489

ღამის ათი საათი იქნებოდა, როცა მატარებელი შევიდა ქალაქ უპატრონოში. სოგრატა „ცხვრებს“ წინ წაუძღვა და თავის კარგათ ნა ნობ სამიკიტნოს ეწვია. ვახშამი გაიმართა. როსაფას ილიკომ ხურჯინიდან ტიკიჭორა ამოაგორა ხაჭაპურები ამოაწყო, რგვლად მოხარშული დედალი ამოაძრო და გაჩაღდა სმა.

სოგრატა შექეიფიანდა. ჩვეულებას არ უღალატა და ბოთლს დანა მიარტყა. კაკუნზე გაჩნდა კარგად გაქნილი მედუქნე.

— აბა იულონ, შენი მაჭარი გვაჩვენე; ხომ იცი, მე რომ მიყვარს ნაპირა ბოჩკის.

— იულონ, ერთი სულგუნიც შეგვიწვი.

— ახლავე, შენი ჭირიმე.

— იულონ, ერთი მწვადიც შენებურად.

— ხახვით, ბატონო, სოგრატ?

— იმე მაგას კითხვა უნდა იულონ?

— ამ საათში, შენი ჭირიმე.

— იულონ, ნედლი თევზი დავინახე წეღან.

— მოგართმევთ შენი ჭირამე.

— იულონ, ხილიც დაგვიმზადე. ხომ იცი მე როგორი ხილი მიყვარ! გაგზავნე იჭი აი იქ, ყურეში რომ მეხილეა, გაოგზავნოს „სმესი“.

— გავგზავნი, შენი ჭირიმე.

შუაღამე გადავიდა. სოგრატა ძლიერ გამხიარულდა, პირზე წამოწითლდა როსაფაც გამხიარულდა, მოინდომა რაც შეიძლება ესიამოვნებია სოგრატისათვის და უთხრა:

— ბატონო სოგრატ, იქნებ კიდევ ინებებთ რამეს? ის შენი კარგი ცოლი ნუ მოგიკვდება არ მომერიდო.

— როსაფა, ის ცოლი მომიკვდეს, უკეთეს ვერავის დამაფიცებ, თუ მოგერიდო. მე ხათრი არ ვიცი. ამ დუქნის პატრონს მე დიდი ხანია, რაც ვიცნობ და ამ ბოლო ხანებში მაინც სულ აქ ვაგდივარ. მან იცის მე რა მიყვარს და რა მძულს; ხანდახან ჩემი თქმაც არ არის საჭირო, ისე მოაქვს ყველაფერი. ა. თუ ტყუილს ვამბობ, რაღაც მოაქვს, ყოჩაღ, იულონ, ეს ყველ-კვერცხი ჩემი საყვარელი ხილია. .ა გენაცვა „ვარაყიან სახეში“, ჩემი იულონ. მოდი ერთი ჭიქა ღვინო დაგვილიე, თუ ხათრი გაქვს.

— კი ბატონო, დიდის კმაყოფილებით! იცოცხლეთ, იმხიარულეთ იულონმა ღვინო გადაკრა და დახლისაკენ წათამაშდა.

— ეს ვისი ხმა მესმის? არჩილ ლოუარსაბიჩ თქვენა ხართ? მოდი, თუ გიყვარდე ჭიქა ღვინო დაგვილიე.

— აა სოგრატის გაუმარჯოს! . რა ამბავია, კაცო, სულ შენი ქეიფია.

— მოდი, კაცო, დალიე ეგ გაწუხებს? მათხოვე ყური. ხომ გაგიგონია „თუ შენი არაფერი იხარჯებაო“. ის ვინ არის, შენთან რომ შემოვიდა დუქანში? . ა. ვიცი, ვიცი, სინო ბეჟანიჩ, მობრძანდი ჭიქა ღვინო, თუ ხათრი გაქვს.

— დიდი სიამოვნებით ბატონო სოგრატ, მაგაში რავა გაწყენიებ. გაუმარჯოს თქვენ კამპანიას, ყმაწვილებო.

— ეი შენ, ახალგაზდა, მოდი, მამაშვილობას, ერთი ჭიქა ღვინოზე ნუ გვეტყვი უარს. კი მართალია ვერ ვიცნობთ ერთი მეორეს, მაგრამ არა უშავს, ქართველები ვართ, საქართველო ჩვენია.

სთხოვე ჩემ მაგივრად შენ ამხანაგებსაც იულიონ წმინდა ჭიქები და ღვინო.

ასე და ამ გვარად სოგრატამ არ გაუშვა დუქანში შემომსვლელი ყველას ნაცნობს და უცნობს მიაწოდა ღვინო ძალზედ მთვრალმა, როცა ფეხისხმა მიწყნარდა, ხვალინდელი საქმე მოაგონა როსაფას.

— როსაფა, მე სოგრატას მეძახიან. კაცი ვარ და ქუდი მახურავს შენ დარდი ნუ გაქვს, ვთქვი და კიდევაც ავასრულებ მხოლოდ ამ შენი ღვინით მთვრალმა უნდა გითხრა, რომ „ხარის ტყავები“ *) ხვალ დილით ადრე ჩემი ხელით უნდა გადავსცე იმ პირებს, ვინც საქმეს გვიკეთებს თუ გაანთავისუფლეს ჩემო როსაფა, „ხარის ტყავები“ ღმერთმა იმათ მოახმაროს, წინააღმდეგ შემთხვევაში, უკანვე დაგიბრუნებ ჩემი ხელით ხომ კარგი სიტყვაა, როსაფა ჩემო?

— ძალიან კარგი, ბატონო სოგრატ, თუ ინებებთ ახლავე გადმოგცემთ ამ ფულებს.

— არა, როსაფა, ფულებს ხვალ დილით მივიღებ შენგან. ეხლა კი მედუქნე გავისტუმროთ.

— იულონ, აბა ნახარჯი

— ცამეტი მანეთი ათი შაური და სამი კაპეიკი, შენი ჭირიმე.

როსაფამ იულონს ფულები გადასცა.

\---

გათენდა მზემ თავი ამოყო და ქვეყანას სალამი უძღვნა. ქალაქ უპატრონოში ვაჭრებმა მაღაზიები დაალეს და ჩვეულებრივ მუშტრის სისხლის წუწნას მიყვეს ხელი. ქალაქმა გაიღვიძა, ახმაურდა მოხელემ, მოწაფემ, მუშამ,—ყველამ თავისი ალაგი ნახა, ყველამ თავის საქმეს მოვიდა ხელი ქალაქის მოძრაობა გაართულა სოფლებიდან ჩამოსულმა ახალგაზდობამ და ამ უკანასკნელის ჭირისუფლებმა სამხედრო საკრებულოები აივსენ ხალხით; აქ იყვნენ მოხუცებულები და ახალგაზდები, ქალი და კაცი. ზოგი მათგანი იცინოდა, ზოგი ტიროდა, რიგი მასხრობდა, რიგი სერიოზული კილოთი ლაპარაკობდა.

— დღეს მეოთხე შვილი მიყავთ ჩემი, ამბობდა ერთი.

— ექვსი მამაკაცი ვიყავით სახლში, ხუთი უკვე წაყვანილია, ახლა მე მეძახიან ამბობდა მეორე

— ჩემს სახლში მხოლოდ მე ვიყავი მამაკაცი და შვიდობით . ამბობდა მესამე.

სამხედრო საკრებულოს ეზოში მოსულიყო დილა ადრიანად როსაფა ყრუაძეც თავისი ილიკოთი და მოუთმენელად ელოდა სოგრატას მოსვლას. ძალზე ნასვამ სოგრატამ, როგორც იყო წაართვა ძილს თავი და ასე დილის ათი საათი იქნებოდა როცა სამხედრო საკრებულოს ეზოში შეყო თავი.

— როსაფა, უთხრა სოგრატა მოსვლისათანავე, საქმე გავჩარხე, ფულები მიიღეს.

— ი ისემც კარგი დაგემართოსო!..

— ოღონდ, როსაფა, ჩემი თხოვნაა ენას კბილები მოუჭირო, არავის არაფერი უთხრა. მე კანცელარიაში შევალ, ერთი ვინმე უნდა ვნახო კიდევ, მორჩა და გათავდა.

— მიშველე შენ წვერებს ვენაცვალე და მერე მე ვიცი და ჩემა კაცობამ.

სოგრატა კანცელარიის კიბეზე ავიდა აივანზე გაიარ-გამოიარა, გადიხედ გადმოიხედა ყარაული ჯარის კაცის შეკითხვაზე „вамъ что“ო, „нечего“ო უთხრა და უკან გაბრუნდა. როსაფა მოძებნა და ახარა:

— აბა საქმე კარგადაა. უცადე ილიკოს გასიჯვენ. კიდევ გიმეორებ ენას კბილები... ხომ გესმის? ჩემი ყოფნა აქ ეხლა ზედმეტია. აბა კარგი მახარობელი მოდი, ღმერთმა ქნას, შენი ჭირიმე.

სოგრატამ დასტოვა სამხედრო საკრებულო. გზაზე ფიქრებმა გაიტაცეს. ხელების ქნევას შემდეგი შინაარსის პუტუნი მოყვა:

— ვითომ რამე გაუკეთე ახლა საწყალ როსაფა ყრუაძეს!.. ან კი რა უნდა გამეკეთებია. მის ბიჭს უჩემოთაც გაანთავისუფლებენ. კაცს მარჯვენა ხელი არ უვარგა და ვისთვის რა სასარგებლო იქნება იგი. ნუ თუ ისე უვიცი ექიმები იქნებიან დღეს აქ, რომ უვარგისი ვარგისად იცნონ და მიიღონ? ეს შეუძლებელია!.. არა, არ ვფიქრობ ეს ფულები (ჯიბეზე ხელს იკრავს) ჩემი ჯიბიდან როსაფას ჯიბეს დაუბრუნდეს. უსინიდისობა კი არის მედაჩემმა ღმერთმა. საწყალს ოჯა-

*) ასე ეძახდა სოგრატა ას მანეთიანებს.

საც აღმოაჩნდება ამიერ დან სახლში დამალული ავათმყოფი ის სასტიკათ დაისჯება.

✦ ადგ. მთმხ. საზ. „კოპერაცია“ შეშვ შეუდგა იმ 148 ფუთი შაქარის გაყიდვას, რომელიც მას ამას წინად ქალაქის გამგეობამ. გადასცა უნდა ალვნიშნოთ, რომ საშინელი უწესოება სუფევდა შაქრის გაყიდვის დროს, ხალხი აუარებელი აწყდებოდა, არავინ რიგს არ უცდიდა, ყველა ძალით ცდილობდა შაქრის გატანს და მართლაც ის შოულობდა შაქარს, რომელიც უფრო მკლავ მაგარი იყო და მუშტი კრივების ატანა შეძლო.

✦ ქალაქის სანიტარო კომისიამ სასანიტარო წესების დარღვევისათვის ოქმი შეუდგინა მაქსიმე ახვლედიანს, ივანე ესაძეს და კონსტანტინე ლებანიძეს.

✦ ქალაქის გამგეობის დავალებით გუშინ გაემგზავრა ქ. ფოთში გამგეობის რწმუნებული გიორგი როინიშვილი, რომელმაც ქუთაისისათვის უნდა შეიძინოს პურის ფქვილი.

✦ მტერთან მამაცობისათვის დაჯილდოებულ იქნენ შემდეგი ქართველ აფიცრები: მე 4- ხარისხის წმინდა ვლადიმერის ჯვრით პოდ-პორუჩიკი, კონსტანტინე ქორქაშვილი, პორუჩიკი კონ. დუდუჩიძე, შტაბს-კაპიტანი ალექსანდრე გეგელაშვილი, კაპიტანი გიორგი კვერნაძე. მეორე ხარისხის წმ. ანნას ჯვრით სილიბისტრო მარღანია. მეოთხე ხარისხის წმ. ანნას ჯვრით: პრაპორ. გიორგი რევია, პოდპორ. ტიტე კანდელაკი, პრაპ. დავით უთმელაძე, ვლ. ჩოჩია. მეორე ხარისხის წმ. სტანისლავის ჯვრით, პრაპ. აკაკი ასათიანი და სილ მარღანია.

✦ ამ უკანასკნელ ხანებში ქ. თბილისში ჩამოიყვანეს და №38 ლაზარეთში მოათავსეს შემდეგი ქართველი დაჭრილი აფიცრები; პოდპორ გიორგი ბაქრაძე და პრაპ აბრამ აბელავა.

✦ რედაქციამ მიიღო ორკვირეულ ჟურნალ „ცხოვრების“ მორიგი ნომერი ჟურნალი ჩვეულებრივ შინაარსიანია.

✦ ახლად დანიშნული საერობო ინსტრუქტორი იოილ (იონა) მაჭავარიანი, გუბერნიის საერობო აგრონომ მ. ვასილევსკის დავალებით გაემგზავრა ქუთაისის გუბერნიის დაბა სოფლებში სამეურნეო იარაღების საწყობთა დასათვალიერებლად.

✦ უვარგისი პური ქალაქის ქიმიური ლაბორატორიის გამგემ ანალიზი გაუკეთა და სრულიად უვარგისი უმცხვარი პური აღმოაჩნდა შემდეგ მეპურეებს: სამსონ გოშაძეს (პოდგ. ქ.) ან. სიმონის ძე ლომთაძეს და პეტრე ოსიპოვს, (ორპ. ქ.) როგორც ლაბორატორიის გამგე გადმოგვცემს ეს პირები აგრეთვე ურევენ პურში სიმინდის ფქვილს.

✦ გუშინ ქიმიური ლაბორატორიის გამგემ დამპალი პურის ფქვილი აღმოაჩინა გიორგი მადიკიანცის პურის საცხობში, ორპირის ქუჩაზე.

✦ უვარგისი რძე. ქალაქის ქიმიური ლაბორატორიის გამგემ წყალ ნარევი რძე აღმოუჩინა დიმიტრი ბოჭორიშვილს და გიორგი ვასაძეს, რომლებიც პასუხის გებაში იქნენ მიცემული.

✦ ამ დღეებში ქალაქის გამგეობა მიიღებს ორ ვაგონ შაქარს, ერთი ვაგონი გადაეცემა ადგ. მომხმარებელ საზ. კოოპერაციას, ხოლო მეორე ვაგონი სხვადასხვა ადგ. დაწესებულებათ, ამის გამო გამგეობა სთხოვს დაწესებულებებს დაუყონებლივ წარმოადგინონ იმ პირთა სია თუ ვის რამდენი შაქარი სჭირდება, რომ საშუალება ექნეს ახლავე შეუდგეს შაქრის განაწილებას.

✦ მოწაფეების დათხოვა. სახალხო შკოლების დირექტორს ბ. ვიშნევსკის საოლქო ინსპექტორის სლოვინსკიდან მოუვიდა შემდეგი დეპეშა:

უავგუსტეს მეფის ნაცვალმა ბრძანა განთავისუფლებულ იქნენ ყველა სასწავლებლების მოწაფეები ოცდა ექვს ნოემბერს. აცნობეთ ყველა ქუთაისის სასწავლო დაწესებულებებს, აგრეთვე გუბერნიისას, აგრეთვე ბათუმისას, ბათუმის ოლქისას დეპეშით შეატყობინეთ ბათუმსა და ფოთში. სლოვინკი.

ამრიგათ ყველამ სასწავლებლის მოწაფეები დათხოვნილი იქნებიან შაბათს. ეს განკარგულება გამოწვეულია წმ. გიორგის დღის აღსანიშნავათ.

✦ სოფ. ხრესილი (ქუთ. მაზრა) კვირას 20 ნოემბერს აქ შესდგა აქაური მომხმარებელ საზოგადოების დამფუძნებელი კრება. კრებას დაესწრო რეგულიატორის საზოგადოების თავმჯდომარე ბ. იასონ გაბილაია. კრების გახსნამდი მან ხალხს აუხსნა კოოპერაციის შინაარსი და მნიშვნელობა. საუბრის შემდეგ კრება გადავიდა მორიგ საკითხებზე. კრების შედეგი ცალკე იქნება მოხსენებული.

✦ ნავთზე მომუშავე მუშა—მეტაწკეებმა ეკონომიური მოთხოვნილება წარუდგინეს ამხ. „განათების“, ნავთ მრეწველ ბარკაიას და დოლიძეს, მოთხოვნილებანი მრეწველებმა არ დააკმაყოფილეს, ამის გამო მუშებმა გუშინ მუშაობა შესწყვიტეს, მუშები მტკიცედ იცვენ თავიანთ მოთხოვნილებს.

✦ 26 ნოემბერს ქალაქის ბაღში ქუთაისის ქალთა საზოგადოება, ომში გაწვეულ პირთა ოჯახების სასარგებლოდ გამართავს დიდ სეირნობას და ყულაბ ებით ფულის მოგროვებას.

# ჩარდაში.

ცხელი ზაფხულის გრილ საღამოს გერმანიის მივარდნილ პატარა ქალაქის ეზოიან ყავახანაში გზათ გამვლელი უნგრელი მუსიკა უკრავდა. აქ იყვნენ პატარა ქალაქის პატარა არისტოკრატები, პატარა ქალაქის პატარა მდიდრები, სტუდენტები და მუშები.

მხიარულ, ამღზნებ მუსიკის ხმაზე საზოგადოება ლუდს ხშირათ ეწაფებოდა.

განსაკუთრებულს ყურადღებას იქცევდა მუშათა სუფრა აჩქარებით ლაპარაკობდენ, ლუდს საერთო ქიქიდან სვამდენ, შედარებით ცოტას, რადგან ლუდი აქ ძვირია უფრო მდარე ყავახანიდან უნდა მოსულიყვნენ მუსიკის მოსასმენათ სმაჭამით უკვე დაკმაყოფილებულნი. ერთი მუშათაგანი მუსაიფში თითქმის არ ერეოდა და როცა ხმას ამოიღებდა, ამხანაგები მეგობრულად წაკრავდენ მუჯლუგუნს და ეტყოდენ:

— ნამდვილი პატრიოტი ხარ, ერთი წელიწადია ჩვენთან ცხოვრობდა ერთ სიტყვას ვერ იტყვი მართლად! -და ყველა გაიცინებდა...

უნგრეთელი იყო ჩუმი მუშა; იგი მოწყენით ისმენდა მუსიკას, ფიქრები ხმებს თან მიჰყვებოდა და სადღაც სხვაგან ტკბებოდა ჰანგებით.

მუსიკამ ჯერ ერთი დაუკრა, მერე მეორე, ხან ეს, ხან ის და ერთხელაც იყო დაიწყო ჩარდაში.

უნგრეთელს სახე გაუბრწყინდა. ვინ იცის რა წარმოუდგა, რა მოგაგონდა. სუფრის ქვეშ ფეხები აუთამაშდა; ქუსლები დააბაკუნა.

— ეი, კელნერ!—დაუძახა მან მსახურს; მთელი საზოგადოება მას მიაჩერდა.—კელნერ, მიართვი დამკვრელთ ოთხი ბოთლი ჩვენებური, უნგრული ღვინო! უთხარით კიდევ დაუკრან ჩარდაში.

კელნერი გაიქცა.

— ოღონდ ჩქარი... ჩქარი... თითქოს ველში გრიგალი ტრიალებდეს... ცეცხლი და ქარიშხალი!— თვითონ გადასძახა მუსიკოსებს, რომელნიც ცოტა მოშორებით იდგნენ.

მუსიკამ ხელ მეორეთ დაიწყო.

უნგრელი წამოხტა. ბუქნით ჩამოუარა, გაუსვა და შეტრიალდა, ერთი გასწორდა წელში და ისევ ბუქნას მიჰყო ხელი.

— ჩქარი! ცეცხლი! მეტი ცეცხლი!

მუსიკამ კიდევ აუჩქარა, მაგრამ უნგრელი წინანდებურათ ცერებზე ტრიალებდა მწყობრათ, ბუქნის დროსაც არც ერთი ტაქტი არ შეშლია.

— მეტი ცეცხლი! სიცოცხლე და სიკვდილი!—კიდევ დასჭყივლა უნგრელმა.

მუსიკამ მართლაც ცეცხლი მოუკიდა უნგრელს ფეხი აერია, შემოტრიალდა, უცბათ დაჯდა სკამზე, მუშტი მუხლებზე დაირტყა და სასოწარკვეთილებით ჩაიბუტბუტა:

— წამხდარვარ, წამხდარვარ კაცი: ფეხი ველარ ავაყოლე—ჩქარია... ლუდი და ჩარდაში ვერ არის მოწყობილი... ღვინო უნდა მესვა... მაშინ გაჩვენებდით, როგორ ცეკვავენ ჩვენი ბიჭები მთვარიან ღამეში, სოფლის გარეთ, იქ, დუნაის პირათ.

ნ. ლორთქიფანიძე.

# კავკასიის ქრონიკა.

**თბილისი.** ამიერ კავკასიის სავაჭრო სამრეწველო ბანკის საორგანიზაციო კომიტეტის კრება 17 გიორგობისთვეს შესდგა. პეტროგრადიდან ახლად დაბრუნებულ ბ ნ ვ დათეშიძის მონაწილეობით. კრებამ დაადგინა გაეგზავნოს საორგანიზაციო კომიტეტის თავჯდომარეს ი. ა. მანსვეტაშვილს პეტროგრადში ხუთი ათასი მანეთი წესდებისა და აქციების დასაბეჭდათ. ბანკი მომავალ წლის იანვრის პირველიდან დაიწყებს მოქმედებას.

— იქიდამვე იწერებიან, რომ კავკასიის აქეთ მხრის ვაჭართ და მრეწველთ განუზრახავთ შუამდგომლობა აღძრან, სადაც ჯერ არს, რომ სახელმწიფო საბჭოში თავიანთი წარმომადგენელი იყოლიონ ამ წარმომადგენელის კანდიდატათ თფილისის ყოფილ ქალაქის თავს ვერმიშევს ასახელებენო, რომელიც დღეს ბაქოში დიდ სავაჭრო საქმეს უდგია სათავეში.

— **გორი.** აქ 17 ნოემბერს ცეცხლი გაჩნდა და რამდენიმე საათის გაანმავლობაში ხუთი სახლი იმსხვერპლა. ცეცხლის ჩასაქრობათ დიდი შრომა გასწია ხალხმა. სახლებიდან ბარგი სულ გადმოზიდეს. ზარალი დიდია. ამ გამანადგურებელმა ცეცხლმა გორის თვითმართველობას ხელ ახლა დაუყენა ხეირიან ცეცხლთ საქრობ მანქანის შეძენის საკითხი.

**სოჩა.** აქ სოჩის ქალაქის რწმუნებულთა ხელმეორე არჩევნები მოხდა. პირველი არჩევნები დაარღვიეს. სხვათაშორის აქაც იჩინა თავი ქართველურმა დაუდევრობამ და უპირულობამ. არა ქართველი აქ უმეტესობას შეადგენს და ყოველ ღონეს ხმარობდენ, რომ ქართველები სრულიად არ ამოერჩიათ თვითმართველობის რწმუნებულად. აი ამგვარ მათ მოქმედებას, ქართველების დასაჩაგრავად, თვით ზოგიერთთა ამომრჩეველთა უწმაწური ქცევა მათ ხელს უწყობს, ერთს აქაურ ბეითალს ძრიელ გულით უნდოდა ხმოსნად გასულიყო, ამისთვის მან ერთ ჩასუქებულ ყასაბს მიმართა. ყასაბი პეტრე კვარცხავა ბევრს ეცადა ბეითლის გასაყვანად, მაგრამ ვერა ღონის ძიებით ვერ მოახერხა შავი ადამიანი გაეთეთრებია. მაშინ ბეითალმა სხვა არა პატიოსან საშუალებას მიმართა. ხალხში აურ-ზაური ატეხა, რომ ქართველებმა პირი შეკრეს, რომ ყველა არა ქართველი გააშაონ. და ხელი დაადო აპატიოსან მუშაკს ნიკოლოზ ნემსაძეს მან მითხრაო რომ მარტო ქართველებს. მიეცი თეთრიო. რადგან ბ. ნემსაძე ყუთზე იდგა მაყურებლად ძრიელ ადვილად შეიძლება, რომ არჩევნები ხელმეორეთ დაირღვეს. მაშინ ბ. ბეითალი თავის სურვილს მიაღწევს, ამ მიზნით ბეითლის სიტყვები ოქმში შეიტანეს.

ს. ფ

**პიატიგორსკიდან.** იწერებიან: რადგან ხაზინის ხარჯზე აგებული ელექტრო-სინათლის და წყლის [illegible] შედარები დიდ [illegible] ნაკლებია, რამოდენიმე აქიმს წყალთა გამგეობაში თხოვნა შეუტანია, რომ მათ ნება მისცენ კერძო სამკურნალოები მოაწყონ.

**თბილისი.** 18 ამ თვეს „განათლების“ საზოგადოების ქალთა საოსტატო სემინარია დაათვალიერეს და სემინარიის საქმეებს გაეცნენ ქართულ კულტურულ დაწესებულებათა კავშირის თავმჯდომარე გ ნ. ყაზბეგი და კავშირის ბ-ნი ბურჯანაძე.

# ა. ა. რიტიხი

მკითხველს მოეხსენება, რომ გრაფი ბობრინსკის მაგიერ, მიწად მოქმედების სამინისტროს გამგეთ ა. ა. რიტიხი დანიშნეს. ახალი სამინისტროს გამგე 48 წლის კაცია, სწავლა მიღებული აქვს ალექსანდრე ლიცეიში, სწავლა დაამთავრა პირველი ხარისხის დიპლომით და ოქროს მედლით. სწავლის დამთავრების შემდეგ იგი შინაგან სამინისტროში შევიდა სამსახურში. შემდეგ მსახურობდა ფინანსთა სამინისტროში და სტოლიპინის დროს რიტხი სახელმწიფო მიწების დეპარტამენტის დირექტორად დანიშნეს. 1912 წელს იგი სახელმწიფო მიწების და მიწათა მოქმედების მთავარ გამგის ამხანაგად იყო მიწვეული, სანამ უმაღლესი მიწათა მოქმედების სამინისტროს გამგეთ არ დაინიშნა.

## ქუთაისის გუბერნიის თავად აზნაურთა არაჩვეულებრივი კრება.

(კვირას 20 ნოემბერი.)

კრებას თავჯდომარეობს გუბერნიის მარშალი თ დი დ. ო. ნიჟარაძე.

კრებას უნდა განეხილა რამდენიმე საკითხი, რომელთაგან უფრო საყურადღებოა: გელზენ კირხენის მადნეულობის გამოსყიდვისა და ქართულ გიმნაზიის შენობის ვალისაგან განთავისუფლების შესახებ.

თავად-აზნაურთ უნდა გადაეწყვიტა ქუთაისის თავად აზნაურობის მიერ თბილისის თავად-აზნაურობასთან ერთად გელზენკირხენის მადნების შეძენის საკითხი.

თავიდანვე კამათი საკითხის პრინციპიალურ მხარეს შეეხო

**სოლ. წერეთელი** იმის წინააღმდეგია რომ ამ საქმეში თფლისის თავად-აზნაურობა გაურიონ რადგანაც, მისი აზრით, თფილისის თავად-აზნაურობა მოგების თვალსაზრისით იხელმძღვანელებს. ამ შემთხვევაშიო, ამბობს ორატორი, ჩვენთვის, ქუთ. გუბ. თავად-აზნაურობისათვის უმჯობესია, რომ „შავი ქვის საბჭოსთან“ ერთად ვიმოქმედოთ. ორატორი წინადადებას იძლევა ეთხოვოს თბილ გუბ. თავად-აზნაურთა წინამძღოლს, თ-დ კ. აბხაზს, რომ მან ქუთ. გუბ. თავად-აზნაურთა წინამძღოლთან ერთად შავი საბჭოს ინტერესების დასაცავად იზრუნოს.

თავჯდომარე ეკითხება:

—მერე რა მოხდება მაგით?

ისმის ხმა:

„ამ მხრივ თ-დი აბხაზი არაფერს იღონებს.

**გ. ლასხიშვილი** თ-დ ვ. აბხაზს ამ საქმის შესახებ თავისი განსაკუთრებული პროექტი აქვს. ორატორის სიტყვით თ დ კ. აბხაზს ვითომ ეთქვას: „მე არავის შეუშლი ხელს, ხოლო დარწმუნებული ვარ რომ „ჭიათურის შავ ქვის მრეწველთა საბჭოს შუამდგომლობას არ შეიწყნარებენ“.-ო.

კრებაზე ირკვევა, რომ „შავიქვის საბჭოს“ წესდებით ნება არა აქვს „გელზენკირხენის მამულები შეიძინოს და, თუ საამისო შუამდგომლობას აღძრავს საბჭო წინასწარ წესდება უნდა შესცვალოს, რაც უეჭველია, საკმაო დროს და მეცადინეობას მოითხოვს.

**სვიმონ ყიფიანი.** ეხება საკითხს, თუ თავადაზნაურობასა და შავიქვის საბჭოს შორის, რომელ მათგანს უნდა მიეკვეს უპირატესობა და ამბობს: თავადაზნაურობას წმინდა საქველ მოქმედო მიზანი აქვს დასახული; თავად აზნაურთა დეპუტატთა საკრებულო სახელმწიფოებრივ საზოგადოებრივი დაწესებულებაა. შავი ქვის საბჭოს სარგებელის განაწილებაში კი ამ დაწესებულების წევრების ინ-

ხის მარჩენელი ხარი გაუყიდია, ადგილი, რომელშიდაც სარჩო სიმიდი მოდიოდა, დააწინდრა და რა ნება მაქვს ასე ტყვილა უბრალოდ ეს ფულები მივითვისო? ე ნეტავი არ ვფილოსოფოსობდე!.. სინიდისი!.. დღეს ვინ არ გაუსვინიდისოვდა. ჩვენი ბესარიონი და მისი ცოლშვილი რამ გაშოაწყო ასე ლამაზად? ლარვენტის ვინ აძლევს ამდენ საქეიფო ფულებს? ვასილს რა წყარო გამოუჩნდა, რომ ათობით და ასობით კარტის თამაშსა და ქეიფობაში ფლანგავს? ჩვენი სიმონს, ამ გუშინდელ მშიერს, დღეს რამ გაუტენა ჯიბეები? ყარამანი?. მაგრამ რამდენი უნდა ჩამოვთვალო: მე ხომ ანგელოზი არა ვარ? სინიდისი!.. მოშორდეს აქიდან ეს სინიდისი!..

ვნახოთ როგორი მახარობელი მოვა როსაფა. თუ იღბალი მაქვს ეს ფულები ჩემი ჯიბიდან თაფლოს ჯიბეში გადავა.

ამ ფიქრებში იყო ჩაფლული სოგრატა, როცა იულონის სამიკიტნოში შევიდა. თავის ნაცნობ ოთახს მიმართა და ტახტზე ახალოხის ამარა გაგორდა. გააზმორა და დაატანა:-უსინიდისობაა, ღმერთმანი, ეს ღვინის სმა მაგრამ დალევა დღეს მკითხე, თუ კარგად წავიდა ჩემი საქმე და ეს ფულები (ჯიბეზე ხელს დაიკრავს) ჩემ ჯიბეში ჩარჩა.

დღის თორმეტი საათი იქნებოდა, როცა როსაფა და მისი შვილი იულონის დუქანში შევიდენ. მამაშვილის მხიარულმა სახემ უმახარობლა სოგრატას, რომ ფულები მისი ჯიბის საკუთრება გამხდარიყო. გახარებული ზეზე წამოდგა და როსაფას საქმის მდგომარეობა გამოკითხა.

— აკურთხოს ღერთმა შენი ენა, ბატონო სოგრატ, გაანთავისუფლეს ჩემი ილიკო, შენს ამაგს ვერ გადვიხდი.

— ძალიან სასიამოვნოა! სწორედ მიამა. აკი გითხარი, რომ ის პირები, რაღაი ფული მიიღეს, საქმეს გააკეთებენ მეთქი. ყოჩაღ ილიკო, მოყევი თუ კაცი ხარ, როგორ იყო შენი საქმე.

— პირველად გამშინჯა, ბატონო, დაბალ დაბალი ექმი რომ არის. მიმაბრუნმომაბრუნა და დამეკითხა-რა გტკივაო. მე, როგორც თქვენ დამარიგეთ, კლავი ვაჩვენე. გამშინჯა და მეორე ექიმთან გამაგზავნა, იმანაც ერთგულად გამსინჯა, ალბად თქვენგან ქონდა ნათქვამი გადახედეს ექიმებმა ერთი მეორეს და დაიძახეს: კაცს მარჯვენა ხელი აქვ ძლიერ დაზიანებული და როგორც ამისთანა თავისუფლდებაო.

— ო, შენი გამჩენის ჭირიმე!.. კარგია!.. უნდა გამომიტყდე, როსაფა ჩემო, რომ შენმა „ხარის ტყავებმა“ ძალიან საქმე გააკეთეს!

— ფულები მარტო უთქვენოდ ვერაფერს ვერ გააკეთებდა ბატონო სოგრატ, შენს გამჩენს ვენაცვალე.

— ეგ კი მართალია, მეზობელო, რომ შენი ფულები მარტო რას იზამდა. კაცის სიტყვა ბევრს ნიშნავს. ბევრი კი ვირბინე, მაგრამ რას დავეძებ, რადგან შენი გული გავახარე.. მომილოცავს, ჩემო ძმავო, ილიკოს განთავისუფლება.

— გმადლობ, ჩვენო მხსნელო, მუდამ თქვენი პატივის მცემელი, მონა და მოსამსახურე ვიქნებით მე და ჩემი ილიკო. ეხლა კი გავბედავ და ამ ხუთ თუმანს მოგართმევთ. ეს იყოს ჯერჯერობით თქვენს შრომის ფასი, იმედი გვაქვს არ დაგვემდურები.

— არა, ჩემო მეზობელო, რა სათქმელია. ესეც რომ არ მოგეცა, მეზობელს მეზობელმა ამისანა დროს ხელი უნდა გაუმართოს.

— გმადლობ, ჩემო ბატონო. ეხლა კი სოგრატ ვახტანგიჩ! წავიქეიფოთ გემოზე. აბა, შვილო ილიკო, დავტრიალდეთ.

ამ სიტყვების შემდეგ როსაფა და ილიკო გავიდენ იულონთან და სადილი შეუკვეთეს.

სოგრატა დიდხანს სვეტივით ერთ ალაგას დაესო. თვალები გაუბრწყინდა. პირზე წამოწითლდა. ქვედა ტუჩი ზედა კბილებს მისცა საკვნეტად. შემდეგ უბიდან თავისი „ბებერი პორტმანი“ ამოიღო, ხუთი თუმანი ოცდა ათი თუმის გვერდით მოათავსა და დაატანა:

— ოცდა ათი თუმანი-და ხუთი-ოცდა თუთხმეტი, აა ჭირიმე, სოგრატ!.

დღეს გვარიანი მელა დავიჭირე. დღეს ასეა: ერთი იღუპება, მეორე შენდება, ერთი ღარიბდება, მეორე მდიდრდება მე ვარ მარტო თუ? დღეს რამდენი ჩემისანა სოგრატა დაძვრებოდა სამხედრო საკრებულოს ეზოში და ვინ იცის რამდენმა გაბრიგა თავისი „ბებერი და ახალგაზდა“ პორტმანი... გადი, სოგრატ, იქეითე თუ შეგიძლია!.. დრო ბევრი გაქვს. მატარებელი საღამოს შვიდ საათზე, გადს ახლა კი პირველის ნახევარი თუ იქნება. მაშასადამე წასვლამდის დიდი დროა. ეს კარგი საქმე გამიკეთდა დღეს. ახლა უნდა ნახოს კაცმა როგორ შაშომესევიან ჩვენი სოფლის „ცხვრები“ თაღე თუ შეგიძლია, სოგრატ.

ამის შემდეგ კედლიდან ჩოხა ჩამოიღო, ჩაიცვა. გადივარცხნა, ულვაშები გადიგრიხა. ერთი კიდევ ამოიღო პორტმანი, გახსნა, დახედა, ულვაშებში ჩაიცინა და დაატანა:

— ფულებო, იძინეთ ტკბილად, იძინეთ ამ ჩემ ბებერ პორტმანში საღამოს ჩემთან ერთად წამობრძანდით სოფლისაკენ. დარწმუნდით, რომ ჩვენი მისვლა თაფლოს იამება.

გორგი.

ტერესს მეტი მნიშვნელობა ეძლევა. ამის გამოვო, ამბობს ორატორი, საზოგადო ინტერესები ადვილი შესაძლებელია სრულიად დაიჩრდილოსო.

ქუთ გუბ თავად აზნაურთა კრების წევრთა მნიშვნელოვან ნაწილს აუცილებელ საჭიროებათ მიაჩნია, რომ ორივე გუბერნიის თავად აზნაურობამ ერთად იმოქმედონ და მათ შორის არავითარი უთანხმოება არ არსებობდეს; ხოლო გელზენკირხენისეულ მამულების შესყიდვის შუამდგომლობა ამ ჯგუფის აზრით, სწორეთ თავადაზნაურობამ უნდა აღძრას და შავი ქვის საბჭო კი უნდა მას დაეხმაროს რითაც შეუძლია.

(დასასრული ხვალ).

## კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველის მოხსენება.

კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველს მეფის მოადგილესთვის მოხსენება წარუდგენია მუსულმანთა შორის სახალხო განათლების შესახებ. ამ მოხსენებაში მოყვანილ სტატისტიკური ცნობებიდან ჩანს, რომ 1916 წლის დასაწყისში მის ხელქვეით სულ 4739 შკოლა ყოფილა, მათ შორის 855 მუსულმანთა შკოლა. ყველა შკოლებში მოსწავლეთა რიცხვი 28914 ვაჟს და 3584 ქალს უდრიდა. ამისთვის რომ ამიერ კავკასიაში საყოველთაო სახალხო სწავლა განხორციელდეს საჭიროა 4238 ახალი შკოლა გაიხსნას, მათ შორის 2714 მუსულმანებისთვის.

ამიერ კავკასიაში 7,500,000 მცხოვრები ირიცხება, მათ შორის 3,000,000 მუსულმანი. შკოლაში შესასვლელ წლოვანობის მუსულმანებს 270,000 ბავშვი ყავთ.

ამიერ კავკასიაში ანუ ჩრდილო კავკასიაში, უნდა გაიხსნას 2088 შკოლა, მათში 198 მუსულმანებისთვის. ჩრდილო კავკასიაში სულ ირიცხება 4,000,000 მცხოვრები, მათ შორის 719,000 მუსულმანი, რომელთაც სასკოლო წლოვანობის 24,684 ბავშვი ირიცხება.

ამას გარდა სტავროპოლის გუბერნიაში უნდა გაიხსნას 636 შკოლა, მათში 88 მუსულმანთათვის.

დღეს მუსულმანთა უმაღლესი პირველდაწყებითი შკოლა არსებობს ოთხი; შემდეგში კავკასია მთელი უმაღლესი პირველდაწყებითი შკოლებით უნდა მოიფინოს. სულ საჭიროა 93 ამგვარი შკოლა.

ამასთანვე რამდენი ბავშვების სასწავლებელი გაიხსნება, პრაპორციონალურად უნდა გაიხსნეს მასწავლებელთა მოსამზადებელი სასწავლებლებიც. ამის გარდა მზრუნველის აზრით საჭიროა რამდენიმე პროფესიონალური შკოლებიც გაიხსნას.

## ქალთა საყურადღებოთ.

### რუსეთი.

პეტროგრადის ქალთა საექიმო ინსტიტუტს უცნობმა პირმა 20,000 მანეთი შესწირა.

— 3 სექტემბერს ქალებს, პოლიტეხნიკუმის ინსტიტუტ დასრულებულთ ინჟინერის სახელწოდება ებოძა. 1912—1915 წლებში 47 ქალმა გაათავა სწავლა და 47 ინჟინერი ქალი გვყავს.

— შინაგან საქმეთა მინისტრს განკარგულება მოუხდენია, რომ პეტროგრადის ელექტრო ტეხნიკურ ინსტიტუტში ქალებიც იყვნენ მიღებულნი.

— ქალაქ ნეჟინიდან პროფესორ ტიხომიროვს სახალხო განათლების მინისტრის წინაშე შუამდგომლობა აღუძრავს, რომ იქ ქალთა ისტორიულ ფილოლოგიური კურსები გახსნან.

— სახალხო განათლების მინისტრს ქალთა მაღალ კურსების დირექტორთათვის შეუტყობინებია, რომ მათ კურსებზე ჩაწერილ ქმრიან ქალებს ქმრების ნებართვა არ მოთხოვონ.

— ამ დღეებში ხარკოვში აკურთხეს ახლად გახსნილი საქალებო საპოლიტეხნიკო ინსტიტუტი. ინსტიტუტს ორი ფაკულტეტი აქვს: სატეხნილოგიო და საინჟინერო საამშენებლო.

### საზღვარგარეთ.

— შვეციაში არსებობს ნაციონალური კავშირი ქალთა საარჩევნო უფლებისა. კავშირმა იმ კომისიას, რომლის დანიშნულებაა თავის მოსაზრება ოჯახის უფლებათა გაუმჯობესობაზე მთავრობას წარუდგინოს, თავის თვალსაზრისი აცნობა და თხოვს: 1, რომ ახალ კანონში სრულიად მოისპოს ქმრის უფროსობა და უპირატესობა ცოლზე, რომელსაც სრული თავისუფლება უნდა მიენიჭოს. 2, ოჯახის სარჩენად ორივე მხარეს, ცოლს და ქმარს უნდა თავიანთი ხვედრი ფული შეჰქონდეს, თუ ორივე მუშაობს, ან ორივე სამსახურშია ან ვაჭრობს. 3, თუ რომ ცოლს ცალკე შემოსავალი არა აქვს და ოჯახში მუშაობას სრულიად უნდება, იმ შემთხვევაში, მას უფლება აქვს თავის ქმრის ვაშოვარზე, რომელიც ისე შედის ოჯახის ხარჯში, როგორც ქალის მიერ შეტანილი 4, მშობლებს ერთნაირი უფლება აქვთ შვილებზე. თუ ცოლქმარში უკმაყოფილება ჩამოვარდა, მათი ოჯახური საქმის გარჩევა იმ სამსაჯულოს უნდა მიენდოს, რომელშიაც წევრებად ქალებიცაა და კაცებიც. 5, ქალი სხვა სახელმწიფოს ქვეშევრდომზე გათხოვებით თავის ქვეშევრდომობას არ უნდა ჰკარგავდეს.

— გერმანიაში რკინის გზის ქალთა მოხელე ქალები ძრიელ გამრავლდნენ. დღეს მათი რიცხვი 36,000 უდრის. ამის გამო და რადგან ქალთა ტანისამოსი სამსახურისთვის უხერხულია, გზათა სამინისტროს ქალებისათვის მუქი მწვანე შარვლები შემოუღია.

— ირლანდიის ქალებს საარჩევნო უფლება უკვე მოუპოვებიათ. ამ წლის აგვისტოში მათ პირველად ამოურჩევიათ პარლამენტში თავიანთი დეპუტატები.

— ჩრდილო ამერიკელთა ზოგ შტატებში ნაფიც ქალთა მსაჯულებია ამორჩეული. ამგვარი მსაჯულები ჯერ კალიფორნიისა და კანზასის შტატებშია.

ჟ. ვ.

## პროვინციის ცხოვრება.

**სოფ. ლეხაინდრავო** (სენაკის მაზრა). სულ ორი თვეა, რაც აქ კოოპერატიული დუქანი არსებობს. როგორც კი დუქანი გახსნეს, მაშინვე სოფლის ბნელმა ძალებმა თავი წამოუყვეს, მაგრამ კოვზი ნაცარში ჩაუვარდათ და მას ვერაფერი დააკლეს. კოოპერატივი თან და თან წინ მიდის და შეძლების დაგვარათ ემსახურება საზოგადოებას. დღეს თვით საზოგადოებამაც შეიგნო კოოპერატივის მნიშვნელობა და წევრების რიცხვი თან და თან მატულობს. 6 ნოემბერს საზოგადოების საბჭოს წევრებმა: პეტე დანელიამ, ივანე ხაინდრავამ და მარკოზ ბარათაიამ რევიზია მოახდინეს. კოოპერატივს 26 აგვისტოდან 6 ნოემბრამდინ 2066 მანეთის საქონელი გადუბრუნებია. მოუგია 412 მანეთი და 42 კ. ხარჯს გარდა კოოპერატივს დარჩენია მოგება 292 მანეთი და 42 კაპ.

— **სოფ. ცხინვალი.** ცხინვალში ლაპარაკია ქართლ-ცხინვალის რკინის გზის გაყვანის შესახებ. გეოგრაფიული პირობები ძრიელ ხელშემწყობია. ცხინვალიდან ქარელამდი ნიადაგი თიხნარ-ქვიშნარია და თანაბრად დაქანებული. საკმარისია, რომ თხრილების სათხრელმა მანქანამ ორჯერ აიარ-ჩაიაროს, რომ სალიანდაგო გზა მზად იყოს. ამას ზედ დაუმატეთ ლიახვის და ფშნის წყლის ენერგია და თვალსაჩინო გახდება თუ რამდენად კულტურაზე შორს ვართ, როცა ამდენა ხელშემწყობი პირობებით არ ვსარგებლობთ.

თუ გვინდა რომ ნებით ახალი ჯურის უმები არ გავხდეთ და მთელი მხარე სხვის საექსპლოატაციო საგნად არ გადაიქცეს, ამისთვის საჭიროა ეს საქმე ადგილობრივმა ძალებმა ითავონ. ყველაზე შესაფერისი ამ საქმის გაძღოლისთვის წვრილი კრედიტის და კოოპერატივთა კავშირია, თუმცა თვით კავშირის საქმე ჯერჯერობით ქართულ ურემზე ჩქარა ვერ მიდის.

თუ კავშირმა შესაფერი უნარი ვერ გამოიჩინა, იმ შემთხვევაში გვრჩება გორის თავადაზნაურობა. გზა მაქსიმალურად რომ ვიანგარიშოთ მილიონ ნახევარზე მეტი არ დაჯდება. რაც ადრე შეუდგებიან ამ საქმეს, მით უფრო კარგი იქნება.

— **დ. ჭიათურიდან** წერენ თან. აზრს მუშების მდგომარეობის შესახებ პანასეს მარგანეცის სარეცხ ქარხანაში. 9 ნოემბერს ქარხნის მმართველმა ხუთი მუშა დაითხოვა სრულიად უმიზეზოდ. ყველა სარეცხ ქარხანას აქვს ერთი ან ორი ხელოვნურად გაკეთებული წყლის აუზი. აუზებს წმენდენ ჩვეულებრივ, კვირაში ერთხელ—შაბათობით. ამ აუზში მომუშავეს, რადგან იგი მუშაობაში ძალზე ილახება და სველდება, აუცილებლად ეძლევა: „პლაშჩი“, ჩექმები და საპონი. აუზის ამოწმენდა მეტ ენერგიას მოითხოვს მუშისაგან. აი ამ პირობებში იწმინდება საერთოდ აუზი. ხსენებულ ფირმის პატრონმა არ ინება ამ პირობებში ემუშავებინა მუშა და შაბათს, როცა საერთოდ მუშაობა გათავდა, მან ბრძანება გასცა აუზი ამოეწმინდათ. მუშებმა მოითხოვეს „პლაშჩი,“ ჩექმა და საპონი. ქარხნის პატრონი ამაზედ არ დაუშვდა და 40 მანეთის გულისთვის ქარხანა ერთი კვირით დაკეტა და მთელი კვირა იზარალა. ერთი კვირის შემდეგ, 9 ნოემბერს, იგივე ბძანება განუმეორა მუშებს, მაგრამ მუშებმა ისევ იგივე მოახსენეს ამიტომ აღამ ხუთი მუშა დაითხოვა. დანარჩენმა კი პატრონის ბძანება შეასრულეს.

## რუსეთი.

როდესაც სათათბიროში ცნობა მოვიდა, რომ ბობრინსკის გადაყენების გარდა არავითარი ცვლილება არ მოხდებაო, ოპოზიცია გაძლიერებულა. სათათბიროს დიდი უმრავლესობა იმ აზრისაა, რომ ჯერ კიდევ დიდი ცვლილებანი უნდა მოხდეს მინისტრთა შორის.

— დღემდე გამორკვეული არ არის ვის ხელში იქნება სასურსათო საქმე. ერთ და იმავე დროს პეტროგრადიდან ერთი მეორის საწინააღმდეგო ცნობა მოდის. თუ ამ ცნობებს დავუჯერებთ უნდა ვიფიქროთ, რომ ეს საქმე ერთდა იმავე დროს რამდენიმე სამინისტროსა და დაწესებულების გამგებლობას უნდა შეადგენდეს.

— გერმანელთა ძალადობის წინააღმდეგ მებრძოლ საზოგადოების წევრმა თ-დ მონსირევმა საზოგადოების გამგეობას განუცხადა, რომ იგი მისი პარტიის (მონსირევი პროგრესისტია) მოთხოვნილებით ხსენებულ საზოგადოებაში მუშაობას თავს ანებებს. ამ გარემოებამ მემარჯვენე პრესაში დიდი აურზაური გამოიწვია და მემარცხენეებს მოღალატეობას სწამებენ.

— ტრეპოვს დეპუტატებისათვის განუცხადებია, არაფერს დავიშურებ იმისთვის, რომ სათათბირო მთავრობას დავუახლოვო; ამისთვის უკვე მოლაპარაკება მაქვს გამართული სათათბიროს პრეზიდიუმთან და მნიშვნელოვან პარტიების წარმომადგენლებთანო.

— პეტროგრადის გაზეთები იტყობინებიან: რაკი სათათბიროს დეპუტატთა შორის ოპოზიციონური სულის კვეთება გაძლიერდა, მთავრობა ეცდება სათათბიროს მოქმედებას ფრთები შეაკვეცოს; საშობაოდ სათათბიროს ადრე დაითხოვენ და გაზაფხულზე კი გვიან მოიწვევენო.

— მოსკოვიდან მოსულ ცნობების მიხედვით პროტოპოპოვის მდგომარეობა გამოკეთდა და მას აღარავითარი საშიშროება აღარ უნდა მოელოდეს. პროტოპოპოვს მეფის ბანაკიდ დაბრუნების შემდეგ პრესის წარმომადგენლებისათვის უთქვამს: ჩემი ორივე მოხსენება მოიწონესო; ერთი მოხსენება სასურსათო საქმეს შეეხებოდა, ხოლო მეორე—შტიურმერის გადაყენების წინ არსებულ პოლიტიკურ მდგომარეობას. მოხსენების წარდგენის შემდეგ პროტოპოპოვს თანამდებობიდან განთავისუფლება უთხოვია, მაგრამ მისი თხოვნა არ შეუწყნარებიათ.

— მოსკოვში ამ დღეებში უპოვიათ ფარულად დაბეჭდილი სიტყვები სათათბიროს იმ დეპუტატების, რომელთა ნათქვამიც გაზეთებში არ გაუშვეს.

— მოსკოვის სომხების ცნობილ დრამატურგ და მსახიობთ სუმბათაშვილისთვის მიურთმევიათ ვ. ბრიუსოვის წიგნი „სომხეთის პოეზია“. სუმბათაშვილს სამადლობელი წერილი გაუგზავნია სომხებისათვის და სხვათა შორის სწერს: დე, ყოველ კავკასიელისათვის ძვირფასი, მსოფლიო კულტურის ერთერთ უძველეს მოამაგე, სომხეთის პოეზიამ დასთვურგნოს ის მცირედი უთანხმოება, რომელიც კავკასიის ერების ოჯახში არსებობს.

## უცხოეთი.

ავსტრიის იმპერატორს ჩეხის ინაციონალურ მოძრაობის ცნობილ ბელადისთვის დანაშაული უპატიებია და დადგენილება მისი სიკვდილით დასჯის შესახებ არ დაუმტკიცებია.

— საბერძნეთი კვლავ ყოყმანობს და ჯერაც ვერ გადაუწყვეტია აასრულოს მოკავშირეთა მოთხოვნილება და გადასცეს მათ იარაღი თუ არა; მეფის კარი და წარჩინებულნი საჭიროდ სცნობენ წინააღმდეგობა გაუწიონ მოკავშირეებს, თუ მათ თავისი არ მოიშალეს.

— ინგლისის პარლამენტში უნიონისტმა მაკ-ნეილმა საბერძნეთთან მოკავშირეების მოყრობის შესახებ სიტყვა წარმოსთქვა:

„მოკავშირეები ერთ და იმავე დროს ორ მთავრობას სცნობენ, ერთს მტრულსა და მეორეს ჩვენ მოკავშირეს. 1862 წელს ინგლისის ჯავშნოსნით საბერძნეთიდან გაყვანილ იქმნა მეფე ოტონი რომელმაც საბერძნეთის კონსტიტუციას უღალატა. ეს უნდა გავიხსენოთ და ისე მოვეპყრათ საბერძნეთს, როგორც ეს ჩვენ ღირსებას შეეფერება, ხოლო ვენიზელოსი არ უნდა დავტოვოთ და დავეხმაროთ მასაო.

— ავსტრიის ახალ იმპერატორს კარლოს I ტახტზე ასვლის პირველ დღეებში, თითქმის ყველა, ცოტად თუ ბევრად გამოჩენილი სამხედრო პირი და მოხელე, დიდი ჯილდოებით დაუსაჩუქრებია საერთოდ ავსტრიის მთელი პრესა ახალ იმპერატორისადმი კმაყოფილებას გამოსთქვამს.

## ღია ბარათი.

**ქუთაისის საკრებულო ტაძრის დეკანოზს დიდათ პატივცემულს ბ. იოსებ ჭეიშვილს.**

ჯიშიშვა შეკითხვისათვის, მარა მოგეხსენებათ: შიში ვერ იხსნის სიკვდილსაო, გვასწავლის მოთავე.

ბ. დეკანოზო! მითხარით მოწყალება და მაცნობეთ: როდის იყო, რომ „წყურვილსა თქვენსა გასვით ძმარი და საშმილავი ბეცით ნაღვლელი“? მიბრძანეთ, როდის რა დაგიშავეთ, ან სიტყვით ან საქმით?.. უფრო მეხვედრაზე მეგობრულ სახეს ვღებულობ თქვენგან და ნუ თუ ეს ცხვრის ტყავში მგელს ნიშნავს?!

ერთხელაც თქვენის წყალობით შვილი გამომირიცხეს ეპარქიალურ სასწავლებელში მე-6 კლასიდან, რომლისთვისაც „მადლობის“ წერილი და მეგობრული ხატება გიძღვენით თუ გახსოვთ.. ამის მერე, გადავავიწყეთ ყველაფერი და მეტის მეგობრულ განწყობილებაში ვიყავით; მაგრამ მოვტყუვდი!

თურმე შუბი ტომარში არ იმალება და თავს იმ სახით გამოყოფს ხოლმე, როგორც თქვენ იქცევით ჩემზე.

თქვენ და ჩვენი სასწავლებლის ზედამხედველი რომ ე-დ სამღვდელოსთან ბრძანდებოდით, მაზე თუ როგორ მეხვედრებოდით ეგზარხოსს, რაც გათქმევიათ მაშინ, რომ რაჟდენის გუნდი ვერ იგალობებს, და შერცხვებაო?! ნუ თუ ეს იმისი ღუზი იყო, რომ გაათახსარავებდა თქვენს შუამდგომლობას ჩვენი ზედამხედველის ყურადღებამდი, რომელთანაც შუამდგომლათ მიბრძანდით: ამა და ამ კაცს მიეცი სემინარიაში გალობის გაკვეთილები და ჩემი ძაგებით კი გაავრცელეთ ზედამხედველი, რომელიც რაღაც ნაირათ არ მწყალობს?! განა ამითი დრო იშოვეთ, რომ ბებინათ ჩემთვის? გეკითხებით კიდევ ბ. დეკანოზო: რამ გაძულათ ასეთი უარყოფით შეხედვა ჩემს უმწიკვლო საქმეს?! ბევრ რამეს ვფიქრობ, მარა მიზეზს ვერ [illegible] გალობის სიძულვილი [illegible] ძ არიაშვილი ი. [illegible] მღვდელთ-მთავრის შემოსვლაზე უცხინეს გიტყოდით ხოლმე ჭრელათ, თქვენ შუბლზე ხელს შემოიკრავდით, იმის გამომხატველათ, რომ თითქმ ქართული გალობა ზარსა გცემსო? ან კიდევ: კოკასა შინა რაცა სდგას იგივე წარმოდინდებისო; ან, ერთი ცხოველის არ იყოს: მტერსა და მოყვარეს ყველას უნდა ვებენდეთ... მართლაც, რომ ეს თქვენგან შეყვარებული წესი თქვენი თან დაყოლილი, შესისხლხორცებული ჩვეულებაა, რითაც სულდგმულობ, სტკბები და ნებივრობთ... ეს როგორც მე ყველა თქვენმა ნაცნობებმა იცის, მარა ეს არ კმარა. მე მინდა, ერთი თქვენი ოქროს პირისაგან მოქარგული სიტყვები გაგიგონო და იმიტომ გეკითხებით: მიბრძანეთ, მიბრძანეთ ღვთის გულისათვის ბ. დეკანოზო, რომელი ერთი დანაშაური მოვიხანით თქვენთან შენატოდები, რომ თქვენი უმოწყალესი ყურადღება დავიმსახურო, სწორედ ისე, როგორც თქვენს ხელქვეით კრებულს სწყალობთ და უყვარხართ!!

დავშთები თქვენი მაღალ ღირსებისადმი უღრესი პატივისცემით გამსჭვალული პატარა ხუცესი რ. ხუნდაძე.

რედაქტორი **ი. ცინცაძე.**
გამომცემელი ამხან. „**სამშობლო**“



## რკინის გზის მიმოსვლა.

(დრო ადგილობრივია ნაჩვენები).

ქ. ქუთაისს მოდის.

| | | |
|---|---|---|
| თფილისიდან | — დილის — | 7 ს. 25 წ. |
| „ | — საღამ. — | 8 ს. 50 „ |
| ბათომიდან | — დღისით — | 12 ს. 40 „ |
| „ | — ღამის — | 2 ს. 20 „ |
| ფოთიდან | — დილის — | 10 ს. 26 „ |
| ტყიბულიდან | — საღამოს — | 7 ს. 00 „ |
| შორაპნიდან | — დილის — | 9 ს 24 „ |

ქ. ქუთაისიდან გადის

| | | |
|---|---|---|
| თფილისისაკენ | — დილის — | 11 ს. — „ |
| „ | — ღამის — | 12 ს. 15 „ |
| ბათომისაკენ | — საღამოს — | 7 ს. 3 „ |
| „ | — დილის — | 5 ს. 55 „ |
| ფოთისაკენ | — დღისით — | 4 ს. „ |
| ტყიბულისკენ | — დილის — | 8 ს. 13 „ |
| შორაპნისაკენ | — დღით — | 5 ს. 18 „ |


## უკაცობა და ნევრასტენია.

უკაცობისა და ნევრასტენიის დროს ავათმყოფები დიდი სიფრთხილით უნდა მოიქცნენ სამკურნებელ საშუალებათა ამორჩევაში. ბევრგვარი საშუალება არსებობს, რომელიც დროებით ამაგრებს ნერვიულ სისტემას, ხოლო შემდეგ უფრო ავითარებენ ავათმყოფობას. ნამდვილ მეცნიერულათ მომზადებულ და ცნობილ პროფესორებისაგან მოწონებულ საშუალებათ უკაცობის დროს ითვლება რადიკალური ფრანგული პრეპარატი

**გრანული** ექ. გლეზისა.

**გრანული ექ. გლეზისა** მრავალნაირათ გამოსცადეს ევროპის სხვილ კლინიკებში და მეცნიერების წარმომადგენლებისაგან ცნობილ იქნა, როგორც რადიკალური და უტყუარი საშუალება სხვადასხვაგვარ ფორმის ქესურ იმპოტენციის და ნერვიულ სისუსტის წინააღმდეგ წამლობისათვის. **გრანული** ექ. გლეზისა პირდაპირ მოქმედებს ნერვიულ —სქესურ ცენტრზე, რომელიც სქესურ მოქმედებას ხელმძღვანელობს, ამაგრებს მათ, სპობს სისუსტეს და აახლებს ნორმალურ სქესურ ფუნქციებს. ამასთანავე **გრნული** მთელს ნერვიულ სისტემას ასაზრდოებს ფოსფორით, ასაღებს მთელს ნერვიულ ძაფებს, სპობს სისუსტეს, უმატებს ძალას, სპობს სულით დაავათმყოფობას, გულის ცემას, თავის ტკივილს და სხვა ნიშნებს ნევრასტენიისას. **გრანული** ექ. გლეზისა—ერთადერთი საშუალებაა, რომელსაც აუცილებლათ ურჩევენ გამოჩენილი პროფესორები ყოველგვარ სისუსტის წინააღმდეგ და დიდი წარმატებით ხმარობენ ევროპის სანატორიებში, კლინიკებსა და საავათმყოფოებში.

**გრანული** იყიდება ქუთაისში მხოლოდ ქუთაისის განყოფილებაში „საექიმო პრაქტიკულ ლაბორატორიისა“ **ა. შავერზაშვილს** სააფთიაქო მაღაზიაში. გიმნაზიის ქუჩა, თეატრის პირდაპირ.

ფასი ერთი ყუთისა—6 მანეთი. სრულ გათავისუფლებისათვის საჭიროა 2—3 ყუთი.

მრავალ მოწონებათა შორის, რომელიც გამოთქმულია პროფესორებისა, ექიმებისა, და ავათმყოფების მიერ, უადგილობის გამო აქ მოგვყავს მხოლოდ ერთი ცნობილი ექიმის—სტატსკი სოვეტნიკის ვ. ვ. ხრულის 50 წლის პრაქტიკანის აზრი ამ წამლის შესახებ.

მ. ხ. ექ. გლეზის მიერ მომზადებული პრეპარატი მე ვიხმარე სამი მხცოვანი ავათმყოფის წამლობის დროს და დავრწმუნდი, რომ პრეპარატი ექ. გლეზისა შეუდარებელ და უტყუარ საშუალებათ ვსცანი. თუნდაც მცირე დოზა საწყაო დღეში ორჯერ რომ მიიღის ავათმყოფმა, ათი დღის შემდეგ უკვე დარწმუნდება ამ წამლის წარმატებაში. 48 წლის პრაქტიკის დროს მე ბევრგვარი საშუალება მიხმარია ახლათ თუ ძველათ გამოგონილი, [illegible]